

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა

2023

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია.....	3
კვლევის მიზანი	3
კვლევის მეთოდოლოგია	3
სტუდენტთა მახასიათებლები	4
შედეგები.....	5
დასკვნა	19
კითხვარის ფორმა	20

ზოგადი ინფორმაცია

გამოკითხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ეფექტურად გაზომვის აუცილებელი პირობაა, რომელსაც ეყრდნობა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა. სტრატეგიული დაგეგვისა და კვლევების სამსახურმა ხარისხის მართვის სამსახურთან ასევე სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობის გზით გადაამუშავა უნივერსიტეტში უკვე არსებული გამოკითხვის ჩატარების წესი. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული გამოკითხვის შედეგები დაეყრდნო გამოკითხვის წესში მოცემულ შეფასების ინსტრუმენტებსა. მიღებულ შედეგებს ითვალისწინებს ადმინისტრაციული, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართველი ყველა რგოლი. გამოკითხვის პროცესი მიმდინარეობდა 2022- 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესსა, სტუდენტური მხარდაჭერის სერვისებზე და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დამოკიდებულებების შესწავლა, შემდგომში საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

კვლევის ამოცანები დაკავშირებული იყო ისეთი ასპექტების გაანალიზებაზე, როგორცაა:

1. სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება
2. სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება
3. სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობა
4. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებები

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესწავლისათვის რაოდენობრივი მეთოდის შერჩევა განპირობებული იყო საკვლევი საკითხების შესახებ სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოგროვების საჭიროებით. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი არის მონაცემთა შეგროვების

მეცნიერული პროცედურების ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს საკვლევი აუდიტორიის შესახებ განზოგადებადი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

კვლევა ჩატარდა Coogle-Drive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობას.


თვითადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით მონაცემთა შეგროვება ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტექნიკაა და მას კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის შესასწავლად მონაცემთა შეგროვების სხვა ტექნიკებთან შედარებით რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. თვით-ადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით მონაცემთა შეგროვებისას სავსე სამუშაოებში არ არის ჩართული ინტერვიუერი, რაც საგრძნობლად ამცირებს ფინანსურ ხარჯებს. ამასთანავე, არსებობს მოსაზრება, რომ თვით-ადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით შესაძლებელია სრულყოფილი და სანდო ინფორმაციის მოპოვება სენსიტიურ საკითხებზე. რადგან რესპონდენტს არ უწევს მისი გაჟღერება ინტერვიუერთან.

ასევე, გამოყენებული ტექნიკის ერთ-ერთ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ შესაძლებელია თვით-ადმინისტრირებადი კითხვარი ერთდროულად შეივსოს შედარებით დიდი რაოდენობის პოტენციური რესპონდენტების მიერ დროის მცირე მონაკვეთში.


სტუდენტთა მახასიათებლები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 429 სტუდენტმა, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 51%. გამოკითხვაში თანაბრად მიიღო მონაწილეობა ყველა კურსმა და სპეციალობის სტუდენტმა.

1. მონიშნეთ ის საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც სწავლობთ



2. კურსი



ძირითადი დასკვნები

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - სტუდენტების უდიდესი ნაწილი კმაყოფილია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მათ შორის ჰიგიენის დონით, კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის ხარისხით

სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზა - აგრეთვე კარგ შეფასებას აძლევენ სტუდენტები სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მატ-ტექნიკურ ბაზას, თუმცა კვლევის ცალკეული შედეგები აჩვენებს რომ საჭიროა ბიბლიოთეკის სივრცის

გაუმჯობესება, ასევე საჭიროა უნივერსიტეტსა და მის სივრცეში არსებული სერვისების პოპულარიზაცია


უნივერსიტეტის სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობა - ამ ნაწილშიც თითქმის ყველა ასპექტს სტუდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ, თუმცა კვლევის შედეგებით დგინდება, რომ საჭიროა სტუდენტების კონფერენციებში ჩართულობის წახალისება, ასევე ლექტორებთან ერთად სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომის წერის პროცესში ჩართულობის გაზრდა

უნივერსიტეტი სტუდენტური სერვისები: სტუდენტური კლუბების რაოდენობის გაზრდა, უცხოელი ლექტორების მუდმივი არსებობა უნივერსიტეტში, ასევე სტაჟირების პროგრამის მდგრადობის შენარჩუნება, რადგან სტუდენტების მხრიდან სტაჟირების პროგრამაში ჩართვის სურვილი დიდია


შედეგები

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა


1.1 უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის შესაფასებლად შევუძუშავეთ რამოდენიმე ზოგადი შეკითხვა. სტუდენტებს შესაძლებლობა ქონდათ თავიანთი დამოკიდებულება გამოეხატათ თანხმობის ან უარყოფის მეშვეობით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტთა 90% აფიქსირებს იმ აზრს, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობის ხარისხი მათთვის კომფორტულ გარემოს ქმნის, მხოლოდ 9% -ია ნაწილობრივ კმაყოფილი აღნიშნულით მხოლოდ 1% აფასებს გარემოს უარყოფითად



მაღალი ქულით ფასდება უნივერსიტეტში არსებული ჰიგიენის დონე. სტუდენტთა 87% აღნიშნავს, რომ ის შეესაბამება მაღალ სტანდარტებს. მოცემულ დებულებას ნაწილობრივ ეთანხმება 7%, ხოლო უარყოფით აზრს აფიქსირებს 3%





სტუდენტების 88% თვლის რომ კამპუსი შშმ პირთათვის ადაპტირებულია.




1.2 უნივერსიტეტის „სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზის“ სხვადასხვა ასპექტების აღსაწერად შევიმუშავეთ 12 დახურული შეკითხვა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები აფიქსირებდნენ თავიანთ დამოკიდებულებას (დიახ,არა, ნაწილობრივ, მიჭირს პასუხის გაცემა)


სტუდენტთა 86% სტუდენტურ პორტალს აფასებს დადებითად მხოლოდ 1% თვლის რომ სასაწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა არაკომფორტულია.


სტუდენტების 80% თვლის,რომ კამპუსში მაღალი ხარისხის ინტერნეტია, ნაწილობრივ 10%






სტუდენტებმა მაღალი შეფასება მისცეს ბიბლიოთეკის პერონალს და სერვისებს. 92% აფიქსირებს, რომ პერსონალი საჭიროებისამებრ უწევს კონსულტაციებს, 85% აზრით ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებო სისტემა მოსახერხებელია, უარყოფით შეფასებას აკეთებს მხოლოდ 1 %







89% დაადასტურა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ინტერნეტზე მიერთებული კომპიუტერები




შედარებით ნაკლებმა პროცენტმა (53%) დააფიქსირა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სივრცე მეცადინეობისთვის და განტვირთვისთვის კომფორტულია, 34% თვლის რომ ამ სივრცეში ნაკლებად კომფორტულად გრძნობენ თავს.



აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სტუდენტთ 92% თვლის რომ უნივერსიტეტში არსებული სერვისების მეტი პოპულარიზაციაა საჭირო




8. სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყაროებია




უნივერსიტეტის „სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობის“ სხვადასხვა ასპექტების აღსაწერად შევიმუშავეთ 6 კითხვა დახურული ფორმით, რომლებზეც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი დამოკიდებულება ასევე გამოეხატათ თანხმობის ან უარყოფის მეშვეობით. აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ მაღალია აკადემიური თავისუფლება და მათი უფლებების დაცულობა (92%) ასევე 89% აზრით სწავლა სწავლების მეთოდები ადეკვატურია სასწავლო კურსის შედეგების მისაღწევად.

1. უნივერსიტეტში მაღალია აკადემიური თავისუფლების ხარისხი და ჩემი უფლებები დაცულია




2. სწავლა-სწავლების მეთოდები არის ადეკვატური სასწავლო კურსის შედეგების მისაღწევად



სტუდენტთა 87% აფიქსირებს იმ აზრს რომ სასწავლო კურსები აძლევს იმ ცოდნას რისი შექმნაც სურდათ, ნაწილობრივ მხოლოდ 1 %


3. სასწავლო კურსები მაძლევს იმ ცოდნას, რისი შექმნაც მსურდა




სტუდენტურ კონფერენციაში ჩართულობის სიხშირე: 46% მონაწილეობდა

სტუდენტურ კონფერენციებში, უარყოფითი პასუხი დააფიქსირა 32%. ძალიან მცირე პროცენტმა აღნიშნა, რომ ლექტორთან ერთად მოამზადა სამეცნიერო სტატია.


4. ვმონაწილეობდი სტუდენტურ კონფერენციაში



5. ლექტორთან ერთად მომიზადებია სამეცნიერო სტატია




6. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ინტერესდება სტუდენტების კმაყოფილების კვლევით (პერიოდულად ტარდება გამოკითხვები) სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები სასწავლო აკადემიურ პროცესთან დაკავშირებით




უნივერსიტეტის „სტუდენტური სერვისები“ სხვადასხვა ასპექტების აღსაწერად და შესაფასებლად შევიმუშავეთ 5 კითხვა დახურული ფორმით, რომლებზეც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი დამოკიდებულება ასევე გამოეხატათ თანხმობის ან უარყოფის მეშვეობით.

გამოკითხული სტუდენტების 68% აცხადებს, რომ უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა თემატიკის სტუდენტური კლუბები, უარყოფითად პასუხობს 13%


1. უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა თემატიკის სტუდენტური კლუბები



30% აფიქსირებს, რომ ხშირად არ ცხადდება კონკურსი გაცვლით პროგრამებზე, 22% აზრით ხშირად ხდება გაცვლით პროგრამებზე კონკურსის გამოცხადება




გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად 60% აქვს ენის ბარიერი, 12% არა აქვს ბარიერი, ნაწილოვრივ ენის ბარიერი აქვს 18%





79% ეთანხმება დებულებას, რომ შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ უცხოელ ლექტორთან



74% ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები (სპორტი, გასასართობი და შემეცნებითი)





დატოვეთ კომენტარი

უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა თემატიკის კლუბები, მაგრამ ვისურვებდი რომ უფრო მრავალფეროვანი მიმართულებები იყოს.

ვისურვებდი უფრო მრავალფეროვანი კლუბების არსებობას.

სასურველია კიდევ უფრო მეტი სხვადასხვა მიმართულების კლუბის ჩამოიყალიბება

ვისურვებდი სტაჟირების პროგრამა მუდმივად არსებობდეს უნივერსიტეტში

ამ სემესტრში სტაჟირების გავლა მინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მოვხვდი, ნეტა კიდევ იქნებოდეს

ძალიან მომწონს სტაჟირების პროგრამა, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დამსაქმებლები სამუშაო გამოცდილებას ითხოვენ, უნივერსიტეტში გავლილი სტაჟირება კი სამუშაო გამოცდილების ტოლფასია.

ძალიან მომწონს სტაჟირების პროგრამა, იმედია ყოველ სემესტრში გამოცხადდება კარგი იქნება თუ მეტი ახალი კლუბი გაიხსნება

სტაჟირება მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, მსურს მუდმივად იყოს ეს პროგრამა უნიში

კარგია რომ უნივერსიტეტში გვყავს ამერიკელები ვისურვებდი მათთან თანამშრომლობის გაგრძელებას

მუდმივად მინდა იყოს უნიში ამერიკელი მოხალისეები

სტუდენტის კითხვარი

მონიშნეთ ის საგანამანთლებლო პროგრამა რომელზეც სწავლობთ

- ა) ბიზნესის ადმინისტრირება
- ბ) საჯარო მმართველობა
- გ) სამართალი
- დ) ქართული ფილოლოგია
- ე) ინგლისური ფილოლოგია
- ვ) ისტორია
- ზ) ფარმაცია
- თ) მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა
- ი) დაწყებითი განათლება

კურსი

- ა) პირველი
- ბ) მეორე
- გ) მესამე
- დ) მეოთხე

მატერიალურ ტექნიკური ბაზა

	დიახ	არა	ნაწილობრივ	მიჭირს პასუხის გაცემა
უნივერსიტეტის კეთილმოწყობის და ინფრასტრუქტურის ხარისხი ჩემთვის ქმნის კომფორტულ გარემოს				
უნივერსიტეტში არსებული ჰიგიენის დონე შეესაბამება მაღალ სტანდარტებს				

კამპუსის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირთათვის				
---	--	--	--	--

სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზა

	დიახ	არა	ნაწილობრივ	მიჭირს პასუხის გაცემა
სტუდენტური პორტალის ინფრასტრუქტურა კომფორტულია				
კამპუსი აღჭურვილია კარგი ხარისხის ინტერნეტით				
კომპიუტერები ხელმისაწვდომია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით				
შენობა აღჭურვილია კარგი ხარისხის ინტერნეტით				
ბიბლიოთეკის პერსონალი საჭიროების შემთხვევაში მიწევს კონსულტაციებს				
ბიბლიოთეკის ელექტრონული სამიუზეო სისტემა მოსახერხებელია				
ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ინტერნეტზე მიერთებული კომპიუტერები				
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სივრცე მეცადინეობისთვის და განვტირთვისთვის კომფორტულია				
საჭიროა თუ არა უნივერსიტეტისა და მის სივრცეში არსებული სერვისების უფრო მეტი				

პოპულარიზაცია				
---------------	--	--	--	--

სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყაროებია (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა
- სოც-ქსელი
- თანატოლები/სტუდენტები
- სტრუქტურული ერთეულები
- ვებ-გვერდი

სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობა

	დიახ	არა	ნაწილობრივ	მიჭირს პასუხის გაცემა
უნივერსიტეტში მაღალია აკადემიური თავისუფლების ხარისხი და ჩემი უფლებები დაცულია				
სწავლების/სწავლის მეთოდები არის ადეკვატური სასწავლო კურსის შედეგების მისაღწევას				
სასწავლო კურსები მამლევს იმ ცოდნას რომლის შექმნაც მსურდა				
ვმონაწილეობდი სტუდენტურ კონფერენციაში				
ლექტორთან ერთად მომიმზადებია სამეცნიერო სტატია/ კვლევა				
უნივერსიტეტის				

<p>ადმინისტრაცია ინტერესდება სტუდენტების კმაყოფილების გამოვლევით (პერიოდულად ტარდება გამოკითხვები)სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები სასწავლო აკადემიურ პროცესთან დაკავშირებით</p>				
---	--	--	--	--

სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

	დიახ	არა	ნაწილობრივ	მიჭირს პასუხის გაცემა
<p>უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა თემატიკის სტუდენტური კლუბები</p>				
<p>უნივერსიტეტი ხშირად ცხადდება კონკურსი გაცვლით პროგრამებზე</p>				
<p>იმისთვის რომ მონაწილეობა მივიღო გაცვლით პროგრამაში ენის ბარიერი არ მაქვს</p>				
<p>შესაძლებლობა მაქვს კომუნიკაცია მქონდეს უცხოელ ლექტორთან</p>				
<p>უნივერსიტეტში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები (სპორტული, გასართობი, შემეცნებითი)</p>				
<p>უწყვეტი განათლების ცენტრი გვთავაზობს სხვადასხვა ტრენინგს,სემინარს, ვორქშოფს მრავალფეროვან თემებზე</p>				
<p>უნივერსიტეტში ეწყობა საზაფხულო სკოლები</p>				



სხვადასხვა დონისძიების ჩატარების შესახებ ინიციატივის გამოხატვა და განხორციელება ადმინისტრაციის მხარდაჭერით შესაძლებელია				
უნივერსიტეტში არსებობს სწავლის გადახდის სხვადასხვა მოქნილი სისტემა				

დატოვეთ კომენტარი



შოთა მესხიას ბუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2



მოკლე მიმოხილვა

კვლევის მიზნები და ამოცანები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდა 2023 წლის ნოემბერში. კვლევა ჩაატარა სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების სამსახურმა ხოლო დასკვნებზე იმუშავა შიდა აუდიტის სამსახურმა.

კვლევის მიზანი: სტუდენტთა კმაყოფილების დადგენა გარკვეულ საკითხებზე

კვლევის ამოცანები:

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა შემდეგი საკითხების გარშემო

- სასწავლო უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილება
- სასწავლო უნივერსიტეტის პრესტიჟულობა და განვითარებაზე ორიენტირებულობა
- სტუდენტთა და კურსდმთავრებულთა დასაქმება
- ინფორმაციის მოძიების სიმარტივე
- სტუდენტზე ორიენტირებული გარემო
- სტუდენტის მოთხოვნებზე სწრაფი რეგირება
- პერსონალის კვალიფიკაცია
- სიახლეებზე ორიენტირება
- პროგრამაში ჩართული პერონალის კვალიფიკაცია და გულსიხმიერება
- პრაქტიკის მიღების შესაძლებლობა
- სპეციალობების ფართო არჩევანი
- სწავლის საასურის გადახდის ხელსაყრელი პირობები
- სასწავლო უნივერსიტეტის კარგი იმიჯი და რეპუტაცია
- რეკომენდაციები

კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის დიზაინს) შემუშავებას. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ კითხვარის გამოყენებით. შერჩევის ერთობლიობა- 410 რესპონდენტი რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 51% პროცენტია.


დასკვნა:

- გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილია


- გამოკითხული სტუდენტების უდიდესი ნაწილი (85.8%) რეკომენდაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტს, რაც განპირობებულია მათი პოზიტიური გამოცდილებით.
- სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სწავლობენ განვითარებაზე ორიენტირებულ და პრესტიჟულ სასწავლო უნივერსიტეტში. ეს ყოველივე სწორ კომუნიკაციასა და პოზიციონირებაზე მეტყველებს.
- სტუდენტები დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს დადებითად აფასებენ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტში კარიერული სერვისები კარგად მუშაობს
- სტუდენტებს საჭირო ინფორმაციის მოძიება უადვილდებათ და ამაში უნივერსიტეტის წვლილი დიდია.
- გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე.
- სტუდენტის მოთხოვნებზე რეაგირება სწრაფად და ადეკვატურად ხდება. ეს კი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს.
- სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი ასევე პროგრამაში ჩართული პირები სტუდენტთა შეფასებით კვალიფიციურია
- უმრავლესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტს აქვს სპეციალობების ფართო არჩევანი, თუმცა კომენტარებში სტუდენტები აღნიშნავენ, რომ კარგი იქნება სპეციალობათა უფრო მეტი მრავალფეროვნება
- დიდ უმრავლესობას მოსწონს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა
- დადებითად ფასდება უნივერსიტეტის იმიჯი და რეპუტაცია
- სტუდენტები რეკომენდაციას უწევენ სასწავლო უნივერსიტეტში კვების ობიექტის არსებობას
- მათი რეკომენდაციაა სპორტის მიმართულებით უფრო მეტად გააქტიურება

შედეგები

თუ შეიძლება აღნიშნეთ, სწავლების რომელ საფეხურზე ბრძანდებით:




გთხოვთ შეაფასოთ, ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო უნივერსიტეტში სწავლით (ერთი პასუხი)




გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილია

ურჩევდით თუ არა თქვენს ახლობელს ამ უნივერსიტეტში ჩაბარებას?




აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხული სტუდენტების უდიდესი ნაწილი (85.8%) რეკომენდაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტს, რაც განპირობებულია მათი პოზიტიური გამოცდილებით.

გთხოვთ შეაფასოთ, რამ უნივერსიტეტი პრესტიჟული და განვითარებაზე ორიენტირებულია




გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი ეთნხმება იმ მოსაზრებას, რომ სასწავლო უნივერსიტეტი პრესტიჟული და განვითარებაზე ორიენტირებულია

ხელს უწყობს თუ არა სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას




გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი 83.9% აცხადებს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებას.


საჭირო ინფორმაციის მოძიება მარტივია



გამოკითხულ სტუდენტთა 86.8% აცხადებს რომ სასწავლო უნივერსიტეტში ინფორმაციის მოძიება მარტივია, პასუხს გაცემა უჭირს 8.4 %, ხოლო უარყოფითი პასუხი დააფიქსირა 4.7%




გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი უზრუნავს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე.




აღნიშნულ კითხვაზე გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სტუდენტის მოთხოვნებზე რეაგირება სწრაფად და ადეკვატურად ხდება. ეს კი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს.

სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი კვალიფიციურია




სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია სიახლეებზე



პროგრამაში ჩართული პერსონალი კვალიფიციური და გულისხმიერია

მიჭირს პასუხის გაცემა
6.3%

არა
2.0%




გამოკითვულთა 91.8% პერსონალის კვალიფიკაციას დადებითად აფასებს


სასწავლო უნივერსიტეტი იძლევა პრაქტიკის მიღების შესაძლებლობას

მიჭირს პასუხის გაცემა
15.2%


არა
3.0%



უმრავლესობის აზრით, უნივერსიტეტი იძლევა პრაქტიკის მიღების შესაძლებლობას. 15.2% უჭირს პასუხის გაცემა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სავარაუდოდ სტუდენტების ამ ნაწილს არ ესმის ამ კითხვის არსი.




შედეგი აჩვენებს, რომ უმრავლესობის აზრით უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალობების ფართო არჩევანი (74.8%) გამოკითხულთა 14.5% უარყოფით პასუხს სცემს, ხოლო 10.8% უჭირს პასუხის გაცემა.



სტუდენტთა უდიდესი ნაწილი 95% აცხადებს, რომ უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის ხელსაყრელი პირობებია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტთა ხელშეწყობის მექანიზმები სასწავლო უნივერსიტეტში კარგად მუშაობს.

სასწავლო უნივერსიტეტს აქვს კარგი იმიჯი/რეპუტაცია]



გთხოვთ, წარმოაგინოთ თქვენი რეკომენდაციები, რის გაუმჯობესებას ისურვებდით:

აუცილებლად ვურჩევ შემს მეგობრებს მესხიაუნში ჩაბარებას. არ ველოდი ასე ძალიან თუ მომეწონებოდა აქ სწავლა. ვიმედოვნებ, რომ დარჩენილი დრო იმაზე მეტს მომცემს, ვიდრე მეგონა.

უფრო აქტიური სპორტის მხრივ უფრო მეტი სპორტული კლუბები სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

სპორტის მხრივ გაძლიერებას ვისურვებდი დანარჩენის მხრივ ძალიან კარგი უნივერსიტეტია

უნივერსიტეტი საკმაოდ კარგად და დინამიურად ვითარდება. ვუსურვებ წარმატებას უნივერსიტეტს და ბევრ პროფესიონალ კურსდამთავრებულს. მე ძალიან კმაყოფილი ვარ აქ სწავლით.

მეტად გამართული იყოს სისტემა, ცხრილის, ინფორმაციის მიწოდების და ა.შ. მხრივ ბუფეტის რაღაცან აუცილებელია

კარგი იქნება, რომ უნივერსიტეტში იყო ფართო არჩევანი სპეციალობების თვალსაზრისით, როგორც ბაკალავრიატზე, ისე მაგისტრატურაზე.

არაფრის

ვისურვებდი რამე უფრო ახალ და საინტერესო სიახლეებს, სხვადასხვა აქტივობებს არაფრის გაუმჯობესებას ვისურვებდი

ვისურვებდი ყოფილიყო პატარა კაფეტერია და გასართობი აქტივობები მეტი ერთობა

მეტი საბაკალავრო პროგრამები

ვისურვებდი კაფეტერიის ამუშავებას, ელემენტის დახვეწას

კიდევ დავამატებდი სხვა ფაკულტეტების, რომლებსაც სტუდენტები ხშირად ირჩევენ მეტ ოთახებს კომპიუტერული აღჭურვილობით

მეტ წილად ყველაფერი კარგადაა

ბუფეტს დავამატებდი

ლმს-ზე დროულად რომ იყოს შეტანილი ქულები.

კაფეტერიის მალე გახსნა ძალიან კარგი იქნება ☺

კარგი იქნებოდა რომ უნივერსიტეტი სტუდენტების დასაქმებაზე ზრუნავდეს ასევე იყოს უნივერსიტეტში სავარჯიშო დარბაზი თავისი ტრენაჟორებით.

სპორტული აქტივობების უფრო მეტად ჩართულობას

ყველაფერი იდეალურია

ვისურვებდი, კაფეტერიას. ჩემი აზრით, სტუდენტებს გვჭირდება ისეთი ადგილი სადაც ჩამოვჯდებით, წავიხემსებთ და თავისუფალ დროს ქუჩაში ან ეზოში არ გავატარებთ. სხვა მხრივ ძალიან კმაყოფილი ვარ <3

მეტი სტუდენტური აქტივობები და ასევე კაფეტერია ^_^

ძალიან კარგი გარემოა, თუმცა ვისურვებდი კაფეტერიის გახსნას. გვშია ხოლმე:)))

ჰქონდეს უფრო უკეთესი, მოწესრიგებული ონლაინ ბიბლიოთეკა, რომლიდანაც სტუდენტები სახლიდანან შეძლებენ შესაბამის წიგნზე წვდომას სახლიდანაც კი. ასევე, გააფართოვონ და დაამატონ სხვა სპეციალობებიც, მოცემული არჩევანი კარგია, თუმცა უფრო მეტი უკეთესი იქნებოდა. ასევე კარგი იქნებოდა ეზოში ძაღლებისთვის უკეთესი ყურადღების მიქცევა(რაც მეტ-ნაკლებად უკვე მოგვარებულია ალბათ), პირადად მქონია რამდენიმე პრობლემა მათთან თუმცა საბედნიეროდ არც ერთი მხარე არ დაზარალებულა. გამოყოს ცალკე ოთახი ბენდის ინსტრუმენტებისთვის, რათა მათი გადაადგილება რთული არ იქნეს, იმ შემთხვევაში, თუ ახლო მომავალში ბენდი შეიკრა უნივერსიტეტში.

ვისურვებდი, ისეთი ადგილს სადაც სტუდენტები ჩამოვჯდებით და წავიხემსებთ. პატარა კაფეტერია კარგი იქნებოდა <3

ვისურვებდი რომ ამ უნივერსიტეტში სტუდენტების დიდი რაოდენობა ირიცხებოდეს
visurvebdi kafeterias

ისევ და ისევ ჩავაბარებდი ამ უნივერსიტეტში <3

kafeteria

ვისურვებდი უნივერსიტეტში კაფეტერიის არსებობა

მინდა ახალი სპეციალობები იყოს მაგალითად ფერწერის მიმართულებით

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარის ფორმა

1. თუ შეიძლება აღნიშნეთ, სწავლების რომელ საფეხურზე ბრძანდებით

ბაკალავრიატი	
მაგისტრატურა	

2. გთხოვთ შეაფასოთ, ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო უნივერსიტეტში სწავლით (ერთი პასუხი)

კმაყოფილი ვარ	უკმაყოფილო ვარ	მიჭირს პასუხის გაცემა

3. ურჩევდით თუ არა თქვენს ახლობელს ამ უნივერსიტეტში ჩაბარებას?

დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა

4. გთხოვთ შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს, აღნიშნეთ X

№	ზსსუ: დებულებები	დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა
1.	პრესტიჟული და განვითარებაზე ორიენტირებულია			
2.	ხელს უწყობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას			
3.	უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას			
4.	საჭირო ინფორმაციის მოძიება მარტივია			
5.	სტუდენტის მოთხოვნებზე რეაგირება ადეკვატურად და სწრაფად ხდება			
6.	უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი კვალიფიციურია			
7.	სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია სიახლეებზე			
8.	პროგრამაში ჩართული პერსონალი კვალიფიციური და გულისხმიერია			
9.	იმლევა პრაქტიკის მიღების შესაძლებლობას			
10.	აქვს სპეციალობების ფართო არჩევანი/სპექტრი			
11.	აქვს სწავლის საფასურის გადახდის ხელსაყრელი პირობები (გადავადება, ეტაპობრივად/ნაწილ-ნაწილ გადახდა და ა. შ.)			
12.	აქვს კარგი იმიჯი/რეპუტაცია			
	გთხოვთ, წარმოაგინოთ თქვენი რეკომენდაციები, რის გაუმჯობესებას ისურვებდით:			

--	--

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!